№ 75 აპრილი 14, ოთხშაბათი 1893 აპრილი 14, ოთხშაბათი 75 №

გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
[illegible] . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1893

„ივერიის“ დღევანდელ №-თან ევზავნებთ ტფილისში მყოფ ხელის მომწერთ დამტკიცებითი სია ქალაქ ტფილისის ამომრჩეველთა.

ივერიის რედაქციისაგან

მოვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერთ, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ ვისაც მხოლოდ ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, დანარჩენიც უნდა გამოგზავნონ პირველ მაისამდე. ვინც ამ დრომდე არ გამოგზავნის დანარჩენს ფულს ნაწილ-ნაწილად მაინც, გაზეთის გზავნა მოესპობა პირველ მაისიდგან.

სახელმწიფო თეატრი
კვირას, 18 აპრილს
ქართულ თეატრის არტისტი
ვ. ა. აბაშიძე
გამართავს წარმოდგენას
წარმოდგენილი იქნება
I
ალიაქოთი
კეთილ-შობილ ოჯახში
კომედია-ფარსი 3 მოქმედ. თარგ. აბაზაძისა.
II
მეოთხე მოქმედება დრამიდამ
და ტერეზია
ანუ
მონასტრის ზღუდეთა შორის
თარგ. ა. ცაგარლისა

მოთამაშენი: ქ-ნნი ავალიშვილისა, მელიქიშვილისა, არლანი, სარიძისა; ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე და სხვ.

დასასრულ
დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებენ სხვათა შორის ბ-ნები პეტროსიანი, ივერიელი და შათირიშვილი.

ანტრაქტებში ორკესტრი დაუკრავს
ადგილების ფასი დაკლებულია
დასაწყისი 8½ საათზედ

ახალი ამბავი

⁂ მის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობას, საქართველოს ექსარხოსს განზრახვა ჰქონდა 17 ამ თთვეს წაბრძანებულიყო კახეთსა და დაღესტნის ოლქში სამწყსოს დასათვალიერებლად. როგორც შევიტყეთ, ზოგიერთ მიზეზების გამო მისი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა ხსენებულ ადგილებში მხოლოდ მომავალ მაისში აპირობს წაბრძანებას.

⁂ 11 აპრილს საღამოთი ჩამობრძანდა ტფილისს ქუთაისის ეპისკოპოზი ყოვლად-უსამღვდელოესი გაბრიელი.

⁂ ქალაქის სამმართველომ ითხოვა ნება-რთვა, რომ ტფილისში რკინის გზით მოტანილ და გატანილ საქონელზედ ბაჟი დააწესონ და ამ ფულით შეაკეთონ რკინის გზის სადგურთან მისავალი გზები. ამ პროექტის გამო მთავარ-მმართებელი აუწყებს ქალაქის მოურავს, რომ ზოგი ერთი მუხლი პროექტისა ვერ არის ნათლად გამორკვეულიო; მაგალითად: პროექტში არის ნათქვამი, რომ ეს ბაჟი 5 წლით იყოს დაწესებულიო, და ყოველ-წლიური შემოსავალი გამოანგარიშებულია სულ 20,000 მანათი; მაშასადამე, ხუთის წლის განმავლობაში შეგროვდება სულ 100,000 მანათიო და პროექტში-კი მოხსენებული არ არის, რამდენი დაჯდება ამ სადგურის მისავალ გზების შეკეთებაო. ამ პროექტში სხვათა შორის მოხსენებული არის, რომ სხვა-და-სხვა საქონელზედ სხვა-და-სხვა ბაჟის რაოდენობა ქალაქის სამმართველომ უნდა განსაზღვროსო. მთავარ-მმართებლის აზრით, უსათუოდ ჩამოთვლილი უნდა იყოს, რა საქონელზედ რა ბაჟი უნდა დაიდოს, თორემ ფინანსთა მინისტრი უამისოდ ნება-რთვას არ მოგვცემსო. ამას გარდა, ქალაქის გამგეობა ამბობს, რომ ამ ბაჟის აკრება რკინის გზის სამმართველოს დავაკისროთო, აქაც საჭიროა თვით ამ სამმართველოს თანხმობაო და სხვა.

⁂ კვირას, 18 აპრილს, ქართულს წარმოდგენას აპირობს ჩვენის სათეატრო დასის არტისტი ბ-ნი ვ. ა. აბაშიძე. წარმოდგენას გარდა იქნება დივერტისმენტიცა. დივერტისმენტში უფრო საყურადღებოა კომიკური დუეტი აბაშიძე-გედევანოვისა — თარსიღასა და ავეტიქას დარდები. ამ დუეტს საუცხოვო კომიზმით ასრულებენ ეს არტისტები.

⁂ 12 აპრილს ტფილისის ბოქაულმა გლებოვმა პატარა ფეთხაინის ქუჩაზედ ჯიგრაშენის ეკკლესიის მღვდლის აბულოვის სახლში შეიპყრო მუღდუსი მნაცაკანოვის ორი ამხანაგი, რომელთაც ამას წინად დასჭრეს პოლიციელი და კიდევ რამდენიმე კაცი. დალაქი ტერ-ოჰანესიანი, რომელიც მნაცაკანოვმა დასჭრა, 12 აპრილს, დილის 5 საათზედ, გარდაიცვალა.

მნაცაკანოვის ყველა ამხანაგებს, როგორც აღმოჩნდა, უწინაც ბევრი ავაზაკობა ჩაუდენიათ და სამართალს რამდენჯერმე დაუსჯია.

⁂ ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო, რომ ტფილისის გუბერნიის საერო სკოლების დირექტორმა მისწერა ტფილისის სახელოსნო სკოლის კომიტეტს ქართული სახელმძღვანელო წიგნები რუსულით შესცვალეთო. კომიტეტმა უპასუხა, რომ მთავრობის მიერ ნება დაურთველ სახელმძღვანელო წიგნებს სასწავლებელში აღარა ვხმარობთო, და რაც შეეხება იმ საგნებს, რომლის სახელმძღვანელო აქაურს ენებზე არ მოიპოვება, მასწავლებელნი ამ საგნებს მთავრობის მიერ მოწონებულ რუსულ სახელმძღვანელო წიგნების შემწეობით ასწავლიან მოწაფეთ, სასწავლებლის წესდებისამებრ, ადგილობრივ ნაეზედაო. ამასთანავე კომიტეტი აუწყებს დირექტორს, რომ უკვე შევუდექით მთავრობის მიერ მოწონებული და რუსულ ენაზედ შედგენილ სახელმძღვანელოების თარგმნას აქაურს ენაზედაო.

⁂ გუშინ-წინ, ღამის 11 საათზედ, პოლიციელად ნამყოფი სტეფანე თაბულოვი, რომელიც სამსახურიდგან დათხოვნილ იქმნა ამ ერთის თთვის წინად, წაეჩხუბა რაღაც ორის თუმნის გულისთვის პოლიციელს ნესტორ ხეთაგუროვს და ორ ალაგას, ფერდსა და გულში, ხანჯლით მძიმედ დასჭრა. დამნაშავე შეიპყრეს.

⁂ გუშინ, 13-ს აპრილს, სოფ. დიღმის მამასახლისმა წარმოუდგინა ტფილისის მაზრის უფროსს ერთი პატარა პარკი კალიის თესლისა და მოახსენა, რომ დიღმის მინდვრები ამისთანა თესლით არის მოდებულიო.

⁂ ჩვენ გვატყობინებენ, რომ განჯის გუბერნიის, ყაზახის მაზრის, სოფელ კუნენ და კლიჩკენდში გაჩენილა ხალხში სახადი.

⁂ სოფ. ტოლა (რაჭის მაზრა), 6 აპრილი: ჩვენში სრული ნახევარ წელიწადი იცის ზამთარი, ექვსი თთვე აქ დედამიწა დაფარულია თოვლით. საშინელი ყინვაა და ჩრდილოეთ-დასავლეთის ცივი ქარი ყოველ დღე ჰქრის. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ხალხი გზა-კვალ შეკრულია; უნებლიედ მოკლებულია თავისუფალს მოძრაობას, ყოველ გვარ შრომა-მოღვაწეობას თავის ცხოვრებისა და ოჯახის წარსამართავად; ზის ხელ-გულ დაჰდობილი, ყინვა-სიცივისაგან ღონე გამოლეული თავის კერასთან. წელს მაინც ერთობ გაგვიჭირა საქმე ამ დაუბოლოებელმა ცუდმა ზამთარმა. არიქნა და არა, ველარ მოვესწარით ჰაერის, ცოტაც არის მაინც, გათბობასა და გადახალისებას.

დღეს, როდესაც ამ წერილსა ვწერ, ექვსი აპრილია, მაგრამ ისეთი ცივი და სუსხიანი ამინდი სდგას, ისე სთოვს, თითქო იანვრის დასაწყისი იყოს. თქვენი მტერი, თუ ამ აპრილშიაც ასე ცუდი ამინდები დაიჭირა, ჩვენი ხალხის საქმე ცუდად წავიდეს. საქონლის საკვები ხალხს აღარ მოეპოვება. ხვნა-თესვა შეგვიანდება. თვით ხალხის ჯანმრთელობაზედ ხომ მეტად ცუდად იმოქმედა ამ დაუსრულებელმა ყინვა-სიცივემ: ისეთს ოჯახს ძვირად შეხვდებით, სადაც ერთი ან ორი ავადმყოფი მაინც არ იწვეს ლოგინში, ხველებით, მჭვალით, ციებით თუ სხვა ამგვარ ავადმყოფობით.

ინფლუენციამაც იჩინა თავი, ამ სენითაც ბევრია დაავადებული.

⁂ სოფ. მუხურა (შორაპნის მაზრა): წელს ზამთარი ძლიერ გაგვიგძელდა: თოვს, წვიმს და ცუდი ამინდებია. ვენახები შეუმუშავებელი დაგვრჩა, ხვნა-თესვა სულ დავიწყებულია; საქონელი შიმშილით გვეხოცება, გასასყიდი საკვები ვერ გვიშოვია.

დიდ ზამთრის გამო კინაღამ ერთი უბედურება არ დატრიალდა. ამ თვის 2-ს აქაური ბიჭები სანადიროდ წავიდნენ მთაში. მათ უკან გამოუდგა

ფელეტონი

უძლური ვირი

(ძველის-ძველი ამბავი)

(შემდეგი *)

III

ნახევარ საათმაც არ გაიარა, რომ ვირი, ირმის რქაზე განსვენებული არხეინად, ეხლა დიდს, ულრანს ტყეში იყო. იმან თავისუფლად ამოისუნთქა, ჰგრძნობდა რაღაც კაი მომავალს, გულიც ამას ეუბნებოდა: „უთუოდ აქ არ მოჰკვდებიო“. ირმები დიდს ფერდოს შეუდგნენ, ერთს გორის ფხას დაადგნენ და იმაზე მიდიოდნენ. მკერდამდე თოვლს მიარღვევდნენ. ამ ტყეში უზარ-მაზარი ხეები იდგა, თვალ-აუწვდენელი. ვირს ძალიან ჰშიოდა. იქნება ცოტაოდენი ნეკერი მოვხოხნოვო, იფიქრა.

— დავისვენოთ, ძმებო, ცოტახანს, შიმშილმა შემაწუხა, სთქვა ვირმა: იქნება ცოტაოდენი საჭმო რამ ვიშოვოთ.

ძალიან კარგი იქნება, უპასუხეს ირმებმა, ეს საშიში ადგილი არ არის, საჭმოც საკმაოდ იშოვება. მართლაც ტყეში სრული მყუდროება იდგა. დიდი შავი ტყე გამტკნარებულიყო, თითქოს ყურს უგდებდა მაღლა ცას, დაბლა დედა-მიწას. ირემმა ვირი დაბლა ჩამოსვა...

— შენს მხარ-ბეჭს ვენაცვალე, ძმობილო, რო ბუზადაც არ გაგაჩნივარ, ისე მზიდავ. ახ, ნეტავი ღმერთმა მაცოცხლოს კიდევ იმდენი, შენი სიკეთე როგორმე გადავიხადო. ერთს დროს-კი მეც შაძლებული ვიყავი. ვაჰმე, ოჰ, წელი, — სთქვა ვირმა. თოვლში ისე ჩაეფლო, რომ ნახევარი კისერი და ყურები-ღა უჩანდა.

— ღმერთმა ჰქმნას, ცოცხალი იყო, ვინ მოგელის სიკეთის გადახდას. განა იმიტომ გზიდავ, რომ ვირმა სიკეთე გადამიხადოსო; არა, ძმაო, გული მეუბნება მოგეშველო, როცა გიჭირს, და გეშველები. მაშ როგორ იქნება?!.

— ღმერთმა გადავიხადოს ჩემ მაგიერი სიკეთე, ვსთხოვ ჩემის ცოდვილის პირით, ღმერთმა გიშველოს? ირმებმა დაიწყეს საჭმლის ძებნა და აქათ-იქით სიარული. ხარმა-ირემმა რქით ჩამოუნტვრია რცხილისა და წიფლის ტოტები. ვირმა გემრიელს ნეკერს წისქვილივით ფქვა დაუწყო, მისი ხრამა-ხრუმი შორს ისმოდა. ირემმა ორიოდე-სამი ფეხი მაყვალიც უპოვა, გადმოუქექა ფეხით და მიაწვია თავისი მეგობარი. ვირი ამასობაში კარგად გამოძღა და ცოტა ღონეც მიეცა. ფურმა-ირემმა ხის ხავსი მოუტანა და დაუყარა წინ.

— შეჭამე, ძმაო, ჩვენი ზამთარში მასაზრდოებელი ეს არის, ჩვენ ამითი ვსუქდებითო, — უთხრა ფურმა ირემმა.

— ღმერთმა გიშველოთ, მეც არ დავიწუნებ ამ მწვანე ხავსს, უთუოდ გემრიელი იქნებაო, სთქვა ვირმა და წაუსო იმასაც. ირმები დიდხანს ხეებს სადამდინაც პირს მიუწვდენდნენ აცლიდნენ ხავსს და ისე შეექცეოდნენ, როგორც მწვანე ბალახს.

როცა კარგად გამოძღნენ და ცისკარმაც ამოაშუქა, ირმებმა, სთქვეს დროა ვიმგზავროთ. ახლა მეორე ხარმა მოინდომა ვირის ზიდვა რქითა, მაგრამ რქა-ბუდიანმა ფიქრი დაუწუნა, შენს რქაზე გვერდებს იტკენს უთხრა, — შენ „რქა-ფიწალა“ ხარ, არც გაიმართება ზედაო. ვირმა ფეხით სიარული მოინდომა ოღონდ გზა გაეკვალათ იმისთვის.

ირმები გაუძღვნენ წინ, ისინი მკერდით მიარღვევდნენ თოვლსა და ვირიც უკან ჩანჩალით მისდევდა. ვირი მალე დაილალა და რქა-ბუდიანს ისევ რქით მოუნდა მისი ტარება. განთიადისას ერთს ჩაბნელებულს, დაბურულს ადგილას მივიდნენ, მაღალის მთის ძირში მიახწიეს. აქ ისეთი სიჩუმე იდგა, კოდალის ნისკარტის ჩქამიც-კი არსაიდამ ისმოდა. დიდრონი ხეები წვერებით ცას ებჯინებოდნენ, თავით ბოლომდე ხავსით და ფითრით დაბურულნი. დიდრონი მაყვლის ბუჩქები ერტყა იმათ გარეშემო. თოვლი აქ ნაკლებ იდო, მაღლობი ადგილი იყო და თოვლი მალე დნებოდა, ბრძამი და ლელი მაღლიდამ დაბლა ჩამოწოლილი, ხალიჩასავით ეფინა მთელს იმ ფერდოს.

— თვალ-შავავ, ჰეი, თვალ-შავავ, დაიძახეს ირმებმა, ერთს ტაფობს რომ მიუახლოვდნენ.

— ვინ არი? მოისმა ხმა დიდრონ წამოქცეულ ჰანდრის გვერდზე მაყვლოვანიდამ და თანაც გამოჩნდა უზარ-მაზარი, მოშავ-ფერო ირემი. მისი დიდრონი ხავსიანი რქები ტყეს

---

*) იხ. „ივერია“ № 74.

ერთი მოხუცი, ადრე ნადირობაში განთქმული ბასილ ბარბაქაძე. მოხუცი მონადირეებს ვერ დაეწია; მთაში ავიდა თუ არა, იქ ჯიხვები თურმე ნახა, გამოუდგა და დიდხანს სდია; ჯიხვებმა შორს გაიყოლიეს მოხუცი. ამ დროს მთამ ნისლი დაიხვია, მოხუცმა გზა დაჰკარგა და ჩარჩა მთაში. მონადირენი დაბრუნდნენ და მოხუცი-კი აღარსად იყო. ორ დღეს უცადეს და მერე-კი გაჰგზავნეს კაცები, რომელთაც იპოვეს საწყალი გაყინული და დამზრალი. არსებაში-კი მოიყვანეს, მაგრამ ფეხები სულ დამძრალი აქვს. ცოტა არ იყოს, შეშინებულიც არის მთაში ღამის გათევით.

⁂ სომხეთა განსვენებულ პატრიარქ-კათალიკოზის მაკარ I-ის დასაფლავების დღეს ვიღასაც საპატრიარქო სახლიდგან გაეტანა ფული და ნივთი, რაც-კი მიცვალებულს ძვირფასი რამ დარჩა. ეხლა, 12 აპრილს, ერევნის საოლქო სასამართლოში დანიშნული იყო ამ საქმის გარჩევა. როგორც სასამართლოში წაკითხულ ოქმიდგანა სჩანს, 24 აპრილს 1891 წელს, პატრიარქის დასაფლავების შემდეგ, ეჩმიაძინის სინოდის წევრნი, პროკურორ ხ. ყ. ყანჩელის თანადასწრებით, შევიდნენ განსვენებულის სახლში, ბეჭდები ახსნეს ზანდუკებს და ჰნახეს, რომ ზანდუკებში რამდენიმე ოქრო-ვერცხლის ნივთეულობა-და იყო, 17 ას-ას მანათიანი სახელმწიფო ბანკის ბილეთები და ერთ ყუთშიაც 109 მან. ქაღალდის ფული. ყველამ ეჭვი აიღო, რომ უსათუოდ აქ რამე ამბავიაო, რადგანაც ყველამ იცოდა, რომ განსვენებულს დიდი შეძლება ჰქონდა. სინოდმა დაუყოვნებლივ შეატყობინა გამომძიებელს და თან გამოუცხადა, რომ ეჭვი აკოფ აბრამიანცზედა გვაქვს, რადგანაც ის განსვენებულის ეკონომოსად იყოვო. მართლაც გამოძიებამ აღმოაჩინა რავდენიმე ძვირფასი ნივთი, რომელიც განსვენებულს ეკუთვნოდა. ეს ნივთები აკოფ აბრამიანცს გარდაეცა თავის ძმისწულის ბერკო პეტროსიანცისათვის, რომელსაც გამომძიებელმა სახლი გაუჩხრიკა. აბრამიანცმა წარუდგინა გამომძიებელს 11,000 მანათი და უთხრა, რომ ეს მე მაჩუქა განსვენებულმა იმ პირობით, რომ 7,000 მანათი მე თვითონ მოვიხმარო და 4,000 მანათი ორ მღვდელს გარდავსცე ტფილისშიო. («Т. Л.»).

მთავრობის განკარგულებანი

ალექსანდრეს სახელობაზედ დაარსებულ დაჭრილთათვის მზრუნველ კომიტეტისაგან.

12 თებერვალს უმაღლესად დამტკიცდა სამხედრო საბჭოს გარდაწყვეტილება:

საინვალიდო თანხიდგან პენსიის მიღების უფლება, რომლიც 1883 წლის 15 მაისს მიეცათ გარდაცვალებულ აფიცერთა ოჯახობათ, იმ აფიცერთა ოჯახობათაც ებოძათ, რომლებიც გარდაიცვალნენ 1883 წლის 5 მაისამდე.

ამ განკარგულებას კომიტეტი უცხადებს გარდაცვალებულ აფიცერთა ქვრივთ, ობლებს, დედ-მამასა, ძმებსა და დებს, რომელთაც საინვალიდო თანხიდგან სრული პენსიის მაგიერად, მხოლოდ შემცირებული პენსია ეძლევათ ხაზინიდგან, რომ მათ შეუძლიანთ მიჰმართონ კომიტეტს და სთხოვონ, ხაზინიდგან დანიშნულ შემცირებულ პენსიის მაგიერ, ეძლიოთ სრული პენსია საინვალიდო თანხიდგან.

ამ თხოვნითვე კომიტეტს შეუძლიანთ მიჰმართონ ნათესავთ იმ აფიცრებისამ, რომელნიც მოკლულ იქმნენ, დაიკარგნენ ომში, ანუ თანამდებობის ასრულების დროს მიღებულ ჭრილობათაგან გარდაიცვალნენ და რომელთ ქვრივ-ობლებს საინვალიდო თანხიდგან მხოლოდ იმიტომ არ დაენიშნათ სრული პენსია, რომ ამ პენსიაზედ მეტი ეძლოდათ ხაზინიდგან პენსიადვე.

ის ოჯახობანი, რომელთაც კომიტეტი უფლებას მიანიჭებს პენსიის მიღებისას, ჩარიცხულ იქმნებიან კანდიდატებად და ვიდრე პენსიონრებად მიიღებიან, საინვალიდო თანხიდგან შემწეობა მიეცემათ.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

საჩხერე. (შორაპნის მაზრა). გაჭირვებულ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო, რომ იტყვიან, სწორედ ასეა ჩვენი საქმე დღეს. შარშან ზაფხულს ხოლერის ქარები გვქონდა გამჯდარი ძვალ-ლბილში; გვეგონა, ან დღეს, ან ხვალ გვეწვევა ის დაუპატიჟებელი სტუმარი და ყისერს მოგვიგრეხსო, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ამ სენისაგან, შარშან ზაფხულს სრულიად დაცული და დაფარული იყო ჩვენი მხარე. წრეულ-კი ზამთარში იჩინა თავი, მაგრამ იმ შეუჩვევარმა სენმა-კი არა—შეჩვეულმა. ეს სენი გახლავთ ქვრივ-ობლის და გაჭირვებულთა დამაწიოკებელი თოვლი და სიცივე-ქარიშხალი. ჯერ დეკემბერი არ დამდგარიყო და ზამთარი-კი თავის უცნაურ ქარით გვეწვია. თოვლმა იმატა და ორ არშინზე მეტი მოვიდა. დადგა მარტი; ამ გაზაფხულის პირველ თთვეს, ზამთრის თთვეებისაგან დაჩაგრულნი და დაშინებულნი, ისე მოველოდით და შევხაროდით, როგორც მშიერი—პურის ჭამას, მაგრამ ზამთარმა თავისი ძალა ამ თთვეში უფრო სასტიკად იჩინა: მრავალი საქონელი იმსხვერპლა და ხალხსაც მუსრი გაავლო. ინფლუენცია, ყელის ბატონები, ხველება, ხურვება და სხვა მრავალ გვარი სენი მოგვიტანა საჩუქრად. დადგა აპრილიც, მაგრამ ცვლილება არ შესტყობია. პირველ სამ დღეს ვფიქრობდით: არა უშავსრა, ნასესხებიაო, მაგრამ მეორე სამმა დღემ უარესი მეხი დაგვცა. ყოველ ახალ მთვარეს, ყოველ ახალ თთვეს უბედურება რამ მოსდევდა. ამას ისიც დაუმატეთ, რომ შარშან ჩვენსკენ ნამუშევრის და საკვების მოსავალი მცირე იყო, რის გამოც ხალხს ამ ზამთრისათვის არც თავის სარჩო შეჰყოლია და არც საქონლისა. შავმა-ქვამ საქონელი ისეთებსაც-კი გააჩენია, ვის სახლშიაც თაგვებიც არ ჩერდებოდნენ,—გააჩენია იმ იმედით, რომ ფულს იშოვიდა მათის შემწეობით და პატრონი მონაგების ფულით საზრდოს იყიდდა. მაგრამ ვისგან? თავადს აღარა აქვს გასასყიდი, აზნაურს და გლეხს. კონა ჩალის ცამეტ კაპეიკად რომ იყიდის ვინმე, ყველა ერთბაშად შესძახებს: უჰ, რა იაფად უყიდნიაო, როდესაც ცამეტ კაპეიკად ოც-და-ექვს კონას იყიდდი შარშან-წინ. ჯანი გავარდეს, მივცემთ ცამეტ კაპეიკს, მაგრამ ვინ ჰყიდის? სად არის გას სყიდი? თუ წაველით ქართლში, რით გინდა გადმოვიტანოთ?

ამ გვარმა სოფლის მდგომარეობამ ბევრი კეთილი საქმეც ჩაშალა. სხვათა შორის ს. ითხვისში უნდოდათ სკოლა გაეკეთებინათ, მაგრამ ხალხი იძახის: ჯერ-ჯერობით ვერ გავაკეთებთ, ცოლ-შვილი შიმშილით გვიწყდება, შიშველ-ტიტველის და მშიერი ყმაწვილების სწავლა არ გაგვიგონიაო; გაისაც ეს დღე მოგველის, რადგანაც ჯერ-ჯერობით ერთი კვალი ნახნავი არავის გვიჩანს. თუ არის დავთესთ, რა მოგვივა, რას მოვმკით. წრევანდელ წელიწადს კიდეც რომ გავუძლოთ, გაისს შიმშილობა მაინც არ აგვცდებაო.

ამდენს უხერხულობას ისიც დაემატა, რომ ჩვენს ერთად ერთ დაბაში ე. ი. საჩხერეში მისვლა-მოსვლაც გაგვიჭირდა უხიდობის გამო. მდინარე ყვირილაზე ერთად-ერთი ხიდია, რომელზედაც ბაზარში მიმავალ ხალხს შეუძლია ცხენით და ურმით გასვლა-გამოსვლა, მაგრამ ეს ხიდი დღეს დალეწილია. რვა ადგილას ჩატეხილია ფიცრები და ზოგ ადგილას სრულიადაც აულიათ. ალაგ-ალაგ ცხენისა და საქონლის ფეხისაგან ჩაჭმული არის. ამის გამო გამვლელ-გამომვლელს ფეხი უცურდება და ნაღრძობის ზელას ვერ ას იან. ცხენი და ურემი დღეც ვერ გადი-გამოდის თავისუფლად, თორემ ღამე ღმერთმა დაიფაროს. ამ წინაზე ხარს ამოჭმულში ფეხი ჩაუვარდა და წვივი მოემსხვრა. საწყალმა გლეხმა სხვის ხარი იქირავა და ურემი და დამტვრეული ხარი ძლივს გაათრია სახლამდის. დალოცვილი, ვისაც ამ ხიდის თვალ-ყურის გდება აქვს მინდობილი, რაღას უყურებს. ხიდი ეხლა არის საჭირო სოფლისთვის, როდესაც ზღვა-წყალი მოდის, თორემ ზაფხულში, ფონშიაც კარგა გავალთ, რადგანაც ზაფხულში წყალი საქონელს მუხლზე არ ადგება და ეხლა-კი ორ თავის ოღენათაც რომ გადიქცეს საქონელი და ცხენი, ერთ ვერსზე ათრემს და უკანვე თუ დაბრუნდება თორემ მეორე ნაპირას ცოცხალი ვერ გაატანს.

მ. აბიათარ

ს. ჟინვანი (დუშეთის მაზრა, არანისის საზოგადოება), 9 აპრილს. ვისაც-კი ფშავ-ხევსურეთის ხეობაზედ უვლია, ყველა შეამჩნევდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ამ ხეობისათვის ჟინვანის ხიდს, რომელიც ძველის დროიდგანვე გადებული ყოფილა მდინარე არაგვზედა. ეს ხიდი ერთად-ერთი საშუალებაა მშრალად გადასვლისა ყოველ დროს მდ. არაგვის ერთის მხრიდან მეორე მხარეზედ. აქ იყრებიან გზები: ფშავ-ხევსურეთის ხეობისა, ანანურისა, თიანეთისა და ქალაქისა. რაც შეეხება მოსიარულე მგზავრს, ზამთარ-ზაფხულ მგზავრი აქ არ გამოილევა: ფშავ-ხევსურეთიდგან დუშეთს მომავალი მგზავრი ამ ხიდს არ ასცდება; არ ასცდებიან აგრეთვე ანანურიდგან თიანეთს მიმავალნი, თიონეთიდგან დუშეთს და უკანვე. ძველ დროს ამ ხიდის მნიშვნელობა იყო უფრო სტრატეგიული; ეხლა-კი ეს მნიშვნელობა ადგილს უთმობს ჩვენის მხრის აღებ-მიცემობას, რადგანაც ჟინვანის ხიდი ერთად-ერთი საშუალებაა არაგვის ხეობის მცხოვრებთა ერთიერთმანეთთან მიმოსვლისა. მერე რა მდგომიარობაშია ეხლა ჟინვანის ხიდი, რომელსაც ამისთანა მნიშვნელობა ჰქონია? ხიდი სრულებით აღარა ჰგავს ხიდსა: მოაჯირები შარშანვე გადიქცა და მათი განახლება არავინაც არ იფიქრა, ზემო პირის ფიცრები ნახევარი აღარ არის; თავხეები დალპა და არაგვში ჩაცვივნას ლამობს, მხოლოდ აქეთ-იქით მარტო ბურჯებიღა მოჩანან; მაგრამ როცა ზედ არა იქნებარო გადებული, რაღა ხიდს ევანება. რაც უნდა ბევრი აწყონ შეშის ნაჭრები, როგორც ეხლა სჩადიან, მაინც ხიდი ხიდობას აღარ იზამს. ჟინვანის ხიდი ამ თხუთმეტიოდე წლის წინად უკეთებიათ აქაურს მებატონეებს; მერე, როცა ველარ მოუხერხებიათ გაკეთება, აულიათ და მთავრობისათვის გადაუციათ. მთავრობასაც დაუხარჯავს ჯეროვანი ფული და გაუკეთებია ისევ ხის ხიდი. ეხლა ამ ხიდს ბოლო მოეღო და ამაზედ სიარული ძლიერ საშიშია. თუმცა მაზრის უფროსის ბრძანებით შეკრულია ხიდი, მაგრამ როდემდის? საცაა, დიდი-ძალი ცხვარი, საზაფხულოდ კავკავის მთეებისაკენ მიმავალი, ამ ხიდს მოაწყდება და შესაძლოა დამპალმა ხეებმა ვერ გაუძლოს და რაიმე უბედურობა მოხდეს. ცხვარიც რომ არ იყოს, დუშეთიდგან საზაფხულოდ თიონეთში მომავალი ჯარი ამ ხიდზედ გაივლის თავის ბარგი-ბარხანით. ამბობენ, რომ ამ ხიდის შესახებ ქაღალდი უკვე გაგზავნილიაო, სადაც ჯერ არს, და

უსწორდებოდა.

— ჩვენა ვართ. უპასუხეს ირმებმა და მიეშურნენ თვალ-შავასთან.

— აი, ერთი ამხანაგიც ვიშოვნეთო,—მიახარეს, მარტოობა აღარ შეგაწუხებს. ჩვენ მუდამ შენთან ვერ ვიქნებით და ესა გყვანდეს. ეს პატრონისაგან მოძულებული, უთვისტომო, ობოლი ვირიო,—უთხრეს ირმებმა.

თვალ-შავას ძალიან გაუხარდა, აქო ირმების ქველობა, ყოჩაღ რომ შებრალება გამოგიჩენიათ ამ საცოდავისთვისო, უთხრა მან: ეხლა ჩვენ თითონ ვიცით როგორც, ვიცხოვრებთო.

თვალ-შავა თითონაც ხანში შესული დამძიმებული ხართ-ირემი იყო, იმას ბევრი ჩანჩალი აღარ შეეძლო და ირმებმა ეს ბალდადი კუთხე უშველებელის ტყისა მიუჩინეს იმას საცხოვრებლად. სხვა ირმები ერთს ბეწვს ბალახსაც-კი არ მოჰგლეჯდნენ ამ ადგილას, ისინი სხვა-და-სხვა ადგილებში სძოვდნენ, სხვაგან გამოდიოდნენ იოლად. ეს ადგილი „დამძიმებულ“ ხართა საცხოვრებლად იყო დანიშნული, საჭმო საკმო იყო აქ ზამთარ-ზაფხულ და წყალიც შიგვე, „სალოკავებიც» აქვე მარჯვედ ჰქონდა. ირმებმა ერთმანეთი მოიკითხეს და მერე ერთმანეთს განშორდნენ. დარჩნენ ერთად თვალ-შავა და ვირი.

— აი, ჩემო მეგობარო, ეს ადგილი მე და შენ გვეკუთვნის, რამდენიც გენებოს, იმდენი ძიირთვი დამშლელი არავინაც არ არის, უთხრა თვალ-შავამ თავის მეგობარს: ბრძამი გნებავს, ლელი თუ მაყვალი ან ხავსი ყველა შენს ნებას არის.

— დიდი მადლობელი, შენი ჭირიმე, ჩემო ბიძიავ, სთქვა ვირმა: დიდი მადლობელი, ღმერთმა გიშველოთ, ღმერთმა დაგიხსნათ ყოველ ბოროტებისა და განსაცდელისაგან. ვხედავ, რომ ჩემთვის არაფერი გშურთ, ხოლო ეს მაწუხებს, მე დიდხანს აღარ ვიცოცხლებ, ჩემი დღე დათვლილია, ხანში შესული ვარ. ვაი თუ შენც დაგაკლო საზრდო, შენ, რომელსაც სიცოცხლე გწადიან და წლოვანებაც სიცოცხლის შესაფერი გაქვს. თუნდ ესეც არ იყოს, მე სიცივეს ვერ გადვურჩები, ზამთარში გარედ ყოფნას დაჩვეული არა ვარ.

— ნუ გეშინიან, მეგობარო, ერთს ჭირსაც ვუწამლებთ და მეორესაც. შენ რამდენი წლისა იქნები? ჰკითხა თვალ-შავამ.

— მე, ბიძიავ, ვარ სწორედ ოცის წლისა, უპასუხა ვირმა.

— ოცი წელი რა სათქმელია, შე კაი კაცო, მე ვიქნები ოთხმოცის წლისა, მაგრამ თუ მტერი დაგვეცა, მე ხუთის წლის ირმებიც ვერ მისწრობენ წინ, სთქვა ირემმა.

— ეჰ, რას ბრძანებ, შენი ჭირიმე?! სთქვა ვირმა: თქვენი საქმე სხვაა, მე ჯაფამ დამაძაბუნა, ჯაფამ დიდმა, ჯაფამ, დღე და ღამ ტვირთის ზიდვამა. სულ ჩაჟეჟილი ვარ. დამაწყობდა ჩემი პატრონი იმდენს შეშას, რომ ყურებისა და კუდის მეტი აღარაფერი მიჩანდა და თანაც სახრით მიბღარტუნებდა ფეხებში და თეძოებში. მე რაღა მეშველება?.. სულ ტყუილია!

— საწყალო! ღმერთი მოწყალეა, ფიქრი არ არის, სიცივე გაშინებს? მოდი აქ, უთხრა თვალ-შავამ,—მოდი და ჩემს ნაწოლში ჩაწექი. ვირი მივიდა და ჩაწვა ირმის ნაწოლს თოვლში, როგორც აკვანში. მართლაც ისეთი სითბო იგრძნო, თითქოს კარგს თავლაში ყოფილიყო დაბმული.

— ოჰ, მართლაც, რა კარგად, რა თბილადა ვარ ბიძიავ! წამოიძახა ვირმა: შენ სადღა უნდა დაწვე?

— მე ხომ გითხარი, გეშველება-მეთქი! სთქვა თვალ-შავამ: მეც აი აქ შენს გვერდით დავწვები, ჩემთვის სხვა საწოლს გავიკეთებ და როცა სიცივე იგრძნო, მითხარი, ნუ დამეხათრები, გადმოხვალ შენ ჩემს ახალს საწოლში, მე ისევ მანდ დავწვები; ასე, შენი საწოლი მუდამ თბილი იქნება.

ვირს გულში სიამოვნება, მადლობის გრძნობა აღეძრა და თვალებიდამ ცრემლები გადმოსცვივდა.

— ღმერთო, შენ უშველე ჩემს მშველელთ, ღმერთო, ნუ ჩააგდებ ამათ შეუბრალებელის კაცის ხელში! ბუტბუტებდა ვირი თავისთვის.

— შენ რომ უძლურებასა სჩივი, ჩემო ძამიავ, განაგრძო ირემმა: მაგის წამალიც ჩვენს ხელთ არის, ღვთით მაგასაც ვუშველით; ჩვენ, თუ გაგიგონია, ჩვენი პატრონი გვყავს, იმას ამ ადგილის დედა და ნადირთა პატრონი ჰქვიან: იმას მე ძალიან ვუყვარვარ, უსათუოდ კვირაში ერთხელ დამხედავს, და მოსალონიერებელს, გაახლების ბალახს მომიტანს. იმ ბალახიდამ შენც გიზიარებ, მაშინ გამოჩნდება, თუ შენ უძლური ხარ, თუ ირმები შენ გაგასწრობენ, ჰნახავ, როგორ მოგემატოს ღონე—როგორ ტანს აიყრი. ვირი სიხარულით და სიამოვნებით ცას ეწეოდა, და სიხარულის ცრემლებსა ჰღვრიდა.

IV

ვირი მას შემდეგ, რაც თვალ-შავასთან დაბინავდა, მუდამ მაძღარი იყო; სიცივე იმას არ უგრძვნია, მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდის ღირსება გაკეთება, ღმერთმა უწყის; მაგრამ ვიდრე გააკეთებდნენ, ხალხს თავისი დაემართება.

◆

პასუხად ჩვენის გრამმატიკის კრიტიკოსს.

1889 წელს დაისტამბა პირველი ნაწილი ჩვენის საგრამმატიკო ნაშრომისა. ჩვენს გრამმატიკაში წინანდელ მეგრამმატიკეთა ნაღვაწევი ზოგი სრულიად დავარღვიეთ, ზოგი გავავრცელეთ, შევასწორეთ და უფრო მკვიდრს საძირკველზე დავაფუძნეთ. ჩვენის ენის კანონების მკვლევართ შეუძლიანთ მხოლოდ გააფართოვონ, გაავრცელონ და შეაშალაშინონ ჩვენგან გამოძიებული და საბოლოოდ გარდასწყვიტონ მხოლოდ ის, რაც თვით ჩვენგანვე საცილობოდ დადებულია. ეს გაკადნიერებული სიტყვა იმ კრიტიკულმა გარჩევამ გამოიწვია, რომელმაც ჩვენი გრამმატიკა სრულიად უსაბუთოდ აღიარა „ამაო შრომად“ («ივერია» 1893 წ. №№ 54 და 55) და მთელი ჩვენი ნაშრომი ერთის „მოქეიფებულის კალმის“ წვერის რამდენისამე შეთამაშებით (ვაჲ ჩვენდა!) განგვიქიქა და (ჵოჲ საკვირველებავ!) ნიავ-ქარს მიგვიცა. თუმცა კრიტიკოსი უსაბუთობით გვწამებს, ვითომ ჩვენ საგრამმატიკო მწერლობაში არც-კი ჩაგვეხედოს, გრამმატიკისა და თვით ენის მეცნიერებაში „ინჩიც“ არ გაგვეგებოდეს, მაგრამ ჩვენ მაინც გამოგვიცხადებია, რომ მწერლობაც შესწავლული გვქონდა, მათი ღირსებაც შეგვიხორცებია, მათი ნაკლულევანება აგვიცდენია და ყოველი ჩვენგან დასკვნილი ენის კანონ დაგვიფუძნებია ჩვენთა კლასიკურ მწერალთა ენის საფუძვლიანად შესწავლაზე და ვინც მაგ კანონების დარღვევას ეცდება (ღმერთმა მოგვასწროს!) მას პასუხს გავაცემინებთ რუსთველ-შავთელ-ბესიკ-ბარათაშვილებს და ყველა ძველ და ახალ საუკეთესო მწერლებს.

ჩვენი კრიტიკოსი ბრძანებს: „ხელთა გვაქვსო (ე. ი. შეგვისწავლიაო) შვიდი ქართული გრამმატიკა, ძველი თუ ახალიო“. ანტონ კათალიკოზის ღ გაიოზის გრამმატიკებიც ჰქონია ხელში და კრიტიკულად შეუსწავლია მთელი საგრამმატიკო მწერლობა. გარდა ამისა, ხელში ჰქონია თვით პროფესორის ჩუბინაშვილის გრამმატიკა, პლატონ იოსელიანის შრომაცა და უკანასკნელ პროფესსორის ცაგარელის სამეცნიერო თხზულება: „О грамматической литературѣ гр. языка. Критическій очеркъ». ამასთან ჩვენს კრიტიკოს შეუსწავლია თვით „ზოგადი გრამმატიკა“, ე. ი. რუსულ-ფრანგული ღ სხ. და ზოგადივე საგრამმატიკო კრიტიკა; კრიტიკოსს ისიც კარგად სცოდნია, თუ როგორი გრამმატიკა მიეცემა ხელში ბავშვს და როგორიც არა.

ესეთის გრამატიკულის და პედაგოგიურის მეცნიერებით აღჭურვილთან ჭეშმარიტად სასიამოვნოა საუბარი, თუნდაც რომ ამით ძირიანად შეირყეს და განქარწყლდეს ჩვენი ნაშრომ-ნაცოდვილარი: ღმერთმან მოასწროს იმ დროს, რომ ჩვენი ნაშრომი ბავშვობანად აღმოჩენილიყოს და აწინდელი ჩვენი მწერლობა დამენახოს თვით მეცნიერების უმწვერვალესს წერტილამდე აღწევნილი და ძლევამოსილად მჯდომარე თვით ჭეშმარიტების ბრწყინვალე და წმიდა ტახტზე.

ესეთის მეცნიერებით შეიარაღებულს გვამს, როგორც თვითვე გვაგებინებს, აულა ჩვენი გრამმატიკა, ძირიანად შეუსწავლია, შეუწონ-შეუფარდებია ძველ და ახალ გრამმატიკოსების ნაშრომ-ნაღვაწთან და თვით „ზოგად საგრამატიკო კრიტიკის ცეცხლშიც გაუტარებია ღ ამდენის შრომის შემდეგ აღმოუჩენია: ახალ გრამმატიკის შემდგენელს (ესე იგი მე) ორ საანბანო ჭეშმარიტებათაგან არც ერთი არ სცოდნია, ე. ი. არც ზოგადი გრამმატიკა სცოდნია და არც ქართული გრამმატიკა შეუსწავლიაო. „ავტორს არც ახალი დაკვირვება და გამოკვლევა ჰქონია, რომელიც წინა ავტორებს არა აქვთ“, ესე იგი, ავტორს არც ერთი ახალი აზრი არ გამოუთქვამს, რომელიც წინა-მეგრამმატიკეთაგან გამოკვლეული არ იყოს; ხოლო წინა ავტორებისაგან გამოძიებული და „საუკეთესო მოღვაწეთაგან ქართულის გრამმატიკის სარბიელზედ აღიარებული... დამტკიცებული და დასაბუთებული (საგრამმატიკო დასკვნები) ავტორს (ე. ი. მე) შესწავლული არა ჰქონია, როგორც შესწავლული არ ჰქონია საგრამმატიკო ლიტერატურაც“. უკანასკნელ, კრიტიკოსს დიდის «მწუხარებით» დაუსკვნია, რომ მე სრულიად „ამაოდ დავშვრალვარ“, ესე იგი ჩვენს შრომას არავითარი ღირსება არა აქვს! ხოლო დატვირთულია ყოველგვარ შეცდომებით და, რაღა გავაგრძელოთ, მთელი თხზულება შეცდომათა კრებაა, ყოველს ღირსებას მოკლებული. კრიტიკოსი მხოლოდ იმაზე გულშემატკივრობს და სწუხს, რომ მაგისთანა უსარგებლო «ამაო შრომისთვის“ დიდს ხანს მოვმცდარვარ.

ამასაც არ დამჯერდა კრიტიკოსი და, სრულიად დარწმუნებული, რომ „სასაცილო მდგომარეობაში ჩამაგდო“, ნუგეშის წილ, ნიშსაც მიგებს და ამბობს: ვითომ მე ტრაბახით გავიძახოდე: „მე გამოვიკვლიეო“ «ისეთს საგნების შესახებ, რომლებიც ჯერ ისევ წარსულ საუკუნეში იყო გამოძიებული» და ვათომ „ვიმეორებდე ისრეთს შეცდომებს, რომლებიც საგრამმიტიკო კრიტიკას დიდიხანია შენიშნული და შესწორებული აქვს“.

რომ ჩვენს კრიტიკოსს არც ჩემი გრამმატიკა წაუკითხავს (დიაღ!) და არც ერთი ძველი გრამმატიკები (უფრო ნაკლებ—ახლები), ამას ჩვენ ეხლავე ნათლად დაკიმტკიცებთ.

კრიტიკოსი ამბობს:

> „ქართული ენაშიო (ვითომ მე ესე ვსწერდე) მხოლოდ სახელია ცვალებადი, ნაწილი სიტყვისა, დანარჩენები არ იცვლიან დაბოლოვებას, არ იბრუნვიანო (გვ. 46—47! ეს რომ გადამახინჯებით ამოწერილია ამაზე ქვემოდ ვიტყვით). ეს კანონი რუსულის ენიდამ არისო ამოღებული და უკრიტიკოდ ქართულში შეტანილი. რუსულში დიალაც ასეა, ერთი თავისებურობა, ერთი უმთავრესი განსხვავება ქართულისა სხვა ენებთან შედარებით სწორედ ის არისო, რომ ქართულში ყველა სიტყვის ნაწილი (часть рѣчи) ცვალებადია, ყველა იბრუნვის და აი სწორედ ეს თავისებურობა ქართულისა ჩვენს პატივცემულს ავტორს (იხილეთ!) ვერ შეუნიშნავს. იმ დროს, როდესაც რუსი, მაგალითებრ, ვერას გზით ვერ დააბრუნებს შორისდებულს (междумежіе) „кукуреку“, ქართველი თამამად ამბობს: მამლის „ყიყლიყო“-ს ვუცდი. „ყიყლიყომ“ გამომაღვიძა, ბევრმა „ჰოო-ჰომ“ ხარი გააგიჟა და სხ. და სხა.“

აჰა, ვითარის დარწმუნებით და მჭევრ-მეტყველობით დაგიმტკიცათ ჩვენი უმეცრება ესეთის, ჩვენის ენის დიაღ საყურადღებო სათავისებურო თვისებისა. ეხლა გაშალეთ ჩვენის გრამმატიკის ფურცლები, გვ. 50, 135, 140 და დარწმუნდით, რომ ჩვენს კრიტიკანს ანუ ცილი დაუწამებია ჩვენთვის და განგებ უცრუვნია, ანუ მართლა არ წაუკითხავს ჩვენი მისგან წყალს მიცემული შრომა: „ყველა სიტყვის ნაწილი იბრუნვის“ (გვ. 50)... „არა-ცვალებადნი სიტყვანი ზოგს შემთხვევაში დაიბრუნვიან... მესამე კანკლედობით“ (გვ. 140) „მესამევე კანდელობას მისდევს დაბოლოებითი ცვლილება იმ სახელთა და ფრასთა, რომელნიც თუმცა უცვალებლად ითვლებიან, მაგრამ ზოგს შემთხვევაში დაიბრუნვიან ხოლმე. ამ მხრით ქართული ენა წარმოგვიდგენს საკვირველს მოვლენას სხვა ენებში: არა თუ ზმნები დაწყებითის ანუ სახელობითის ბრუნვისა, არამედ დასრული ფორმებიც, თვით ფრასებიცა და ყოველი უცვალებელი სიტყვა შეიძლება დაიბრუნოს, თუ საჭიროება მოითხოვს, მესამე კანკლედობით. მაგალითები: წინა=წინაჲსა, წინასი (და არა წინისა), წინაჲთ ანუ წინათი („წინა-კაცი უკანა-სი უნდა იყოს გზად და ხიდად), გარე=გარეჲსა, გარესი,... ზე=ზესი, ზე-ჲთი... აგრეთვე: ქვე-სი, ქვე-მან, ხვალე-მან; „ვაჲ-ს გავეყარე, ვუჲ-ს შევეყარე“; „სსუ-ჲს“ ძახილი იწყეს, „ჰოპუნა-ს მღეროდენ; „ჰარიქა-თი“ გაგვაყრუვეს... „ა“-თი იწყება და „ჵ“-თი აღლევა ქართული ანბანი... ამდენმან „თუ-და-მაგრამ“-მან მომაწყინა, „ოჰ-და-აჰი-თი“ არა გაკეთდება რა; —ფრასები: ერთი „მაქვსი“ ათს „მქონდეს-ს“ მირჩევნია (ანუ «მქონდეს-სა») „კატა აწონა-მან“ ბევრი გვაცინა, «არა-მკითხე-მან» ბევრი ილაყბა; „მიცია-ს მოცია უნდაო“; „არ-დაშვერმან არა-ჭამე იცისო“; „არა შეჯდა მწყერი ხესა-მ“ ეს ნაყოფი გამოიღო; „კარგი-ჭამე-კარგი-სვი-სა“ მივსდევთ; „დალიე-და-დამილიე-ს“ მღეროდენ“...

ეხლა შეადარეთ ავტორის ლალადისი ჩვენს უმეცრებაზე ეს-ამოდენა ამონაწერებს და საჯეთ, თუ რომელმა მიზეზმა მიიზიდა იგი «ცრუებად». ჩვენ არა თუ ვუჩვენეთ, რომ უცვალებადნი სიტყვანი შეიძლება დაბრუნდნენ, არამედ თვით მზნები, დაულილებულნი სიტყვანი და თვით წინადადებანი ერთ სიტყვად დავაბრუნეთ; გარდა ამისა განვმარტეთ, რომ ესრეთი სიტყვები იბრუნვიან იშვიათად «რა მისჭირდეს» და ყველა საბრუნავები არა აქვთ. ხოლო თვით კრიტიკოსისაგან გადამახინჯებით ამოწერილ სიტყვების მაგიერ (გვ. 46—47) ჩვენს გრამმატიკაში სწერია: „საუბარში პირველი სახე სიტყვათა... მუდამ იცვლება, ამისთვის მოხსენებულნი სიტყვის ნაწილნი, (ესე იგი, არსებითი, ზედშესრული, რიცხვითი, ნაცვალ-სახელი, მიმღეობა და სახელზმნა) იწოდებიან ცვალებადად, ხოლო დანარჩენნი (თან-დებულ-კავშირ-შორის-დებულნი) არ იცვლებიან და ამისთვის იწოდებიან უცვალებადად“. დიაღ, გადაუმახინჯებია კრიტიკოსს, მაგრამ უფრო საყურადღებო ის არის, რომ კრიტიკანს აქ გამოთქმული ჩვენი აზრი ვერ გაუგია, რასაკვირველია, იმის გამო, რომ წინანდელი ნაწილი არ წაუკითხავს და შემდეგიც არ ჩაუთვალიერებია. აქ ცვალებაზეა ნათქვამი და არა ხოლო ბრუნვაზე. ხოლო ცვალება, ჩვენის გრამმატიკით, სამ გვარია: საქვემდებარო (ბრუნვანი), საშესმენილო (მიმოქცევა ზმნათა) და საწარმოებო (ნაკვეთები). რადგან კავშირ-თან-დებულ-შორის დებულნი ამ სამ გვარ ცვალების კანონებს არ ემორჩილებიან (მწერლობაში არ იხმარებიან), თუმცა-კი ზოგს შემთხვევაში რამდენსამე ბრუნვის და საზმნებო ნაკვეთებსაც მიიღებენ (გვ. 83), ამისთვის ესენი ჩვენ არა-ცვალებად სიტყვებად დავდევით. ამ შემთხვევაში, როგორც ყოველთვის, ჩვენ ჩვენგან დასკვნილ კანონებს ვამყარებდით ქართულ მწერლობაზე და არა საკუთარს მოსაზრებაზე მხოლოდ. გრამმატიკის შემდგენელი, როგორც ბუნების კანონების მეძიებელიც, თვითონ-კი არ მოიგონებს კანონებს, არამედ მხოლოდ აღმოაჩენს საუკეთესო მწერლების ქმნილებათაგან.

თ. ქორდანია

(შემდეგი იქნება)

◆

უცხოეთი

ბელგია. როგორც ვიცით, ბელგიის მუშებმა არეულობა მოახდინეს. მიზეზი არეულობისა თავის დროზე მოხსენებული გვქონდა. ხალხს უნ-

---

დამ თბილს ირმის ნაწოლში იწვა, მაგრამ წელი, გვერდები და მეჯები მაინც სტკიოდა.

კვირა დღე გათენდა. თბილი მზიანი დღე გამოვიდა. ამ ორის მეგობარის სადგური ფერდო ჩამოშრა; ის ლამაზი სანახავი იყო მაშინ ბრძამით და ღულით დაფარული. დამაძღრები თვალ-შავა და ვირი გვერდის გვერდ იწვნენ. ფოთლის შრიალი შემოესმათ. თვალ-შავამ ყურები აცქვიტა, ხოლო ვირი-კი თავ-დაკიდებით იწვა, ღრმა ფიქრებში გართული.

მაყვლოვანის გვერდზე გამოჩნდა ნელის ნაბიჯით, როგორც აჩრდილი, ლამაზი, პატარა ქალი, გაშლილი შავი თმა ღრუბლივით ედო ტანზე. მარცხენა ხელში პატარა ბალახის კონა ეპყრა. თვალ-შავამ, რა წამსაც-კი დაინახა თავისი პატრონი, მაშინათვე ფეხზე წამოდგა და გაიზმორა. კისერი მაღლა აწვადა და თავისი დიდრონი, ხავრიანი რქები ჭანდრის ტოტებს მიაბჯინა.

ვირი ისევ ისე იწვა თავ-დაკიდებული, ის ვერაფერსა ჰგრძნობდა და ვერცა-რასა ჰხედავდა.

ქალი სიხარულით პირ-განათებული მიესალმა თვალ-შავას. ირემმა თავი დაბლა დაუღო, ყელ ყურში ფხანა დაუწყო ქალმა.

— როგორა ხარ, ჩემო სილაღევ? ჰკითხა მან ირემსა. აი ბალახიც მოგიტანე.

— კარგადა ვარ, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო დედავ, უპასუხა ირემმა, მაგრამ ცოტა რამ სადარდო საქმე გამიხდა.

— ეგ ამხანაგი ვინ გიშოვნია? ჰკითხა კვლავ ადგილის დედამ.

— ეგ არის კიდეც ჩემი სადარდო. ეგ ერთი საწყალი ვირია, ჩემო სიცოცხლევ, პატრონისაგან მოძულებული, ჩვენს ირმებს ეპოვათ მინდორში და აქ წამოეყვანათ. ჩვენ შემოგვეხიზნა საცოდავი, ულონო, უსულ-ჯანო, დაბეჟილ-დაბეგვილი. განა არ იცი, ადამიანის ხელში რა ხეირსა ჰნახავდა?!.

— ვიცი, ვიცი, საწყალი ცხოველი, სთქვა ქალმა: შებრალება, შეწყალება გვმართებს, ჩემო თვალ-შავავ, მაშ როგორ იქნება?!.

— ადე, ძმობილო, ხომ არ დაგეძინა? ადე, ჩვენი პატრონი მოგვივიდა. უთხრა თვალ-შავამ თავის მეგობარს.

ვირმა ეხლა ძლივს გამოიფხიზლა და ყურების ბლარტუნით წამოდგა. ქალის დანახვა ცოტად არ ეჭაშნიკა, რადგან იმასაც ადამიანის სახე ჰქონდა. ადამიანის დანახვა ტანში ჟრუანტელსა ჰგვრიდა საბრალოს. დადგა მის წინ თავ-დაკიდებული.

— რად შემომხედე, მეგობარო, უგემურად. ნუ გეშინიან, მე შენ არ შეგკმაზავ და არ გაჯაფებ. უთხრა ნადირთა პატრონმა დაღონებულს ვირს.

— ეხლა იმას გეხვეწები, ჩვენო სულის ჩამდგმელო, სთქვა თვალ-შავამ, ცოტა მაგ ბალახიდამ ჩემთვის რომ მოგიტანია, ამ საბრალოსაც უზიარო. დაე, მე დამაკლდეს, ოღონდ ეს მოღონიერდეს.

— ძალიან კარგი, სთქვა პატარა ქალმა: აი გაიყავით, ხვალ კიდევ გნახავთ და ბალახსაც ბლომად მოგიტანთ; შევიბრალოთ, ეგეც დღეს ჩვენია, ჩვენის ადგილის შვილად დაწერილი, ჩვენმა ადგილმა უნდა შეინახოს. ქალმა ბალახი ორივეს დაუყარა. თითონ ჩამოჯდა მწვანე ბრძამზე, ამოიკვნესა და თვალებიდამ ცრემლები გადმოსცვივდა...

— რადა სტირი, თავს შემოგევლე? ჰკითხა თვალ-შავამ ადგილის დედას. მისი ცრემლები რომ ნახა, პირში ბალახი გაუხმა.

— წელან ვერ გითხარი თვალ-შავავ, ვითომ უნდა დამემალა შენთვის. მაგრამ დამალვით რა იქნება, შენ მაინც გაიგებდი ადრე თუ გვიან: ლალა მოგვიკლეს გუშინ მონადირეებმა.

თვალ-შავაც ატირდა, ამ სიტყვის თქმაზე ბალახის ჭამას თავი დაანება და მწარედ ოხვრა-კვნესა დაიწყო.

— რა ამბავია? იკითხა ვირმა: ვინ ლალა მოუკლავთ?

— შენ რომ რქით მოგიტანა, მეგობარო, ის მოუკლავთ. მიუგო თვალ-შავამ.

— ვირმა მორთო ქვითინი, ერთ ადგილას ველარ დგებოდა. დამტვრეულის მეჯებით აქეთ-იქით დაიწყო ხანხალი და „ვაჰმე ძმაო, ვაჰმე ჩემო სიცოცხლის მომნიჭებელო“-ვო, მოსთქვამდა...

ქალი გამოეთხოვა ორივეს და წავიდა ტირილით. ვირმა და თვალ-შავამ დიდხანს იტირეს, იგლოვეს ლალა, საღამომდე აღარაფერი უჭამიათ. პატრონის მოტანილი ბალახიც ისე ეყარათ წინ. ირემი სწყევლიდა ადამიანის შეუბრალებლობას. იმან უამბო ვირს თავის თავ-გადასავალიც. ცხრა-ათგან აჩვენა ტანზე ნაისრალები. საღამომდე ასე მწარედ გაატარეს დღე, საღამო ხანზე-კი შეექცნენ ბალახს. ვირმა როგორც ეს ბალახი შესჭამა, სრულიად სხვა ტყავი და ხორცი შეისხა. აღარაფერს ტკივილს არა გრძნობდა, ერთბაშად გამოიცვალა. ვირი უსაზღვრო სიხარულში იყო.

ვაჟა-ფშაველა.

(დასასრული იქნება)

და, რომ თვითონაც მიიღოს მონაწილეობა სამეფო საქმეთა მართვა-გამგეობაში და ამიტომ თხოულობს საარჩევანო წესდების შეცვლას. ეხლანდელის წესდების ძალით ბელგიაში მხოლოდ 134,000 კაცს აქვს არჩევანების უფლება. ეს 134,000 სულ ისეთნი არიან, რომელთაც, ცოტად თუ ბევრად, დიდი შეძლება და ქონება აქვთ. ამათი წარმოადგენელნი პარლამენტში უფრო იმასა სცდილობენ, რომ თავიანთ ამომრჩეველთა სასარგებლოდ ჰმართონ საქმენი სამეფოსი. მუშებმა დიდხანს ითმინეს ასეთი ყოფა, რომელიც 1830 წლიდამ დაიწყო და ბოლოს ველარ მოითმინეს. უმცირესობას ძალიან გაუტკბა თავის სურვილისამებრ საქმეთა მსვლელობა.

ინგლისში 1830 წლიდამ ბარე ორჯელ შეიცვალა საარჩევანო წესები. ბოლოს 1884 წლის ცვლილებამ ამომრჩეველთა რიცხვი უფრო გაამრავლა. პირველად იყო 1.366,818 ამომრჩეველი, 1867 წელს—2.448,252 კაცი, ხოლო ეხლაა 5.701,905 ამომრჩეველი. ბელგიაშიაც რომ ინგლისის საარჩევანო წესები ჰმოქმედობდეს, მაშინ ამ ქვეყანაში დეპუტატების არჩევანებზედ მონაწილეობას მიიღებდა არა 134,000 ექვს მილიონ მცხოვრებთაგან, არამედ ექვსჯერ მეტი. ინგლისში ჯერ კიდევ საყოველთაო კენჭის ყრა არ არის შემოღებული. საფრანგეთის კონსტიტუცია რომ ჰმოქმედობდეს ბელგიაში, მაშინ ამომრჩეველთა რიცხვი ათჯერ მეტი იქნებოდა, ესე იგი, 1.620,000, ანუ 29% მთელის ერისა. საფრანგეთში საყოველთაო კენჭის ყრაა შემოღებული. გერმანიის საკონსტიტუციო წესები რომ იყოს ბელგიაში, მაშინაც-კი ამომრჩეველთა რიცხვი იქნებოდა 1.260,000, ესე იგი 20% მცხოვრებთა რიცხვისა.

◆

წვრილი ამბავი

ამერიკის გაზეთები იუწყებიან, ჩიკაგოს გამოფენაზედ რომ პირველი მატარებელი გაივლის, ამ მატარებლის მემაშინედ ერთი გასათხოვარი ქალი იქნება, იდა გევილტიო. ამ შემთხვევისთვის იდა გევილდს შეუკერია ისპანიელთა ტანთსაცმელი, რომელსაც მეთოთხმეტე საუკუნეში ხმარობდნენ. გაზეთები ამბობენ, რომ ამ მემაშინე ქალის სანახავად ბევრი ხალხი მოვა გამოფენაზედაო. იდა გევალდი გამოცდილი მემაშინეა თურმე და ახლაც დაჰყავს მატარებელი რკინის გზის ერთს შტოზედ. ეს რკინის გზა ამ ქალის მამას ეკუთვნის.

— სამხრეთ უნგრიაში ამ დღეებში მიწა იძვრა. ზოგიერთ ქალაქებში ხალხს შიშის ზარი დაეცა. რამდენიმე სახლი დაინგრა, სხვათა შორის ავსტრიის საელჩოს შენობა—ბელგრადში.

— ვისბადენში გაიმართა კონგრესი, რომელსაც 300 წევრი დაესწრო; მათ შორის მრავალი პროფესორია. კონგრესს საგნადა აქვს ხოლერის წინააღმდეგ საშუალებათა გამოკვლევა.

— ამერიკაში, იობისა, ნებრასკისა და მისურის შტატებში საშინელი გრიგალი იყო; მრავალი წვრილი ქალაქი დაშავდა.

— სტამბოლში ინგლისის ელჩს მოუვიდა ანატოლიის ელჩებისაგან სია იმ სომეხთა, რომელნიც პოლიტიკურ საქმების გამო ციხეში დაუპატიმრებიათ. დაპატიმრებულთა რიცხვი 1,800-მდეა. ხმა დადის, რომ ინგლისსა სურს კონფერენცია გამართოს სომეხთა მდგომარეობის შესახებ. ხონთქარს ძლიერ სწყინს ის წერილები, რომელიც ინგლისის გაზეთებში იბეჭდება. კრიტის კუნძულზედაც ხალხი აღელვებულია. განზრახვა აქვთ, ნაციონალური კრება გაჰმართონ.

◆

წერილი რედაქციის მიმართ.

ნება გვიბოძეთ: თქვენის პატივცემულის გაზეთის შემწეობით, უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ნადვორნი სოვეტნიკს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძეს ჯავრიშვილს, რომელმაც შემოსწირა ჩვენდა რწმუნებულს ეკლესიას ხომლი, იგივე ჭაღი, თორმეტის კელაპტარით, ღირებული სამს თუმნად და ექვს მანეთად.

მღვ. გიორგი კარგარეთელი.
ს. ერთაწმინდა.

◆

დეპეშა

11 აპრილი

პეტერბურგი. ამ მოკლე ხანში განხილულ იქმნება კანონ-პროექტი შესახებ იმისა, რომ სახელმწიფო ბანკმა მონაწილეობა მიიღოს რკინის გზების მიერ საქონლის გადატანის გამო წარმოებულს ანგარიშში.

რადგანაც კრონდშტატის ნავთსადგურში სავაჭრო გემებს აღარ დააყენებენ, გარდაწყვეტილია, ახალი ნავთსადგურები გაიმართოს პეტერბურგს ახლო; ამ საქმისათვის საჭიროა ერთი მილიონი მანათი.

ოდესა. გუშინ სახალხო მატარებლით უნგრეთში გაემგზავრა სერბიის დედოფალი.

რომი. გუშინ გერმანიის იმპერატორმა და იმპერატრიცამ პაპი ინახულეს. იმპერატორი პაპს თითქმის ერთს საათს ესაუბრა ცალკე.

ვენა. გუშინ აქ მოვიდა მინისტრი გირსი, სახლობითურთ.

ლონდონი. შაბათ ღამეს ჰულში რამდენჯერმე შებრძოლება მოხდა გაფიცულ მუშებსა და პოლიციას შორის; ორსავე მხრიდგან რამდენიმე კაცი დაიჭრა. კვირას გაფიცულ მუშებმა ნავთ სადგურზედ ცეცხლი წაუკიდეს ხე-ტყის საწყობს. აქედგან ცეცხლი წაეკიდა კიდევ სხვა საწყობებს და ერთს სახლს; ცეცხლი ძლივს ჩააქრეს, პოლიციისა და ნავოსანთა დახმარებით.

„Times“-ს სწერენ სიმლიდგან, ავღანის ემირი იუწყება, რომ კილაპანჯში (ამუ-დარიის ხეობაშია) რუსები გადმოვიდნენო.

ვენა. 5 საათზედ იმპერატორმა ინახულა Grand Hôtel-ში სტატს-სეკრეტარი გირსი; ცოტა ადრე გირსთან სადარბაზოდ იყო გრაფი კალნოკი და კარგა ხანს დაჰყო.

პეტერბურგის ბირჟა, 9 აპრილი.

	მყიდველისა.	გამყიდველისა	გარიგებისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	7,61	7,65	— ,,
ტამოჟნის კუპონები	$152^{1}/_{2}$	$153^{1}/_{2}$	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	— ,,	1,06	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	$242^{1}/_{4}$	— ,,	— ,,
—მეორისა	— ,,	— ,,	$220^{3}/_{4}$
4% მესამე სესხისა	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი	— ,,	— ,,	$195^{1}/_{4}$
გირავნობის ფურცლები ტფილისის ბანკისა:			
6%	— ,,	102	— ,,
5%	— ,,	$100^{1}/_{4}$	— ,,
ქუთაისის ბანკისა 6%	— ,,	102	— ,,
5%	— ,,	$100^{1}/_{4}$	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	— ,,	— ,,	$99^{1}/_{4}$

„ივერიის“ ფოსტა

გ-მს გ. ი. ხ—ძეს თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

ც—ლს. ა. უ—ევს. თქვენი გამოგზავნილი სახალხო ლექსები დიდი ხანია დაბეჭდილებია და ამიტომ ხელ-მეორედ აღარ ვბეჭდავთ.

ა—ს. მ. გ. თ—ძეს. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება. ამბებს ხვალ-ზეგ დავბეჭდავთ.

განცხადებანი

კბილის ექიმი
ა. ი. ორბელი
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 12 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
კვირა-უქმე დღეებში
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—42)

ახალ-სენაკში

კ. თავართქილაძის ახალ სტამბაში დაიბეჭდა და დაურიგდა ყველა წიგნის მაღაზიებს, სადაც-კი ქართული წიგნები ისყიდება, შემდეგი ახლად გამოცემული წიგნები:

1) „ჩანგი“, პირველ გამოცემიდან გადმობეჭდილი და მრავალი ახალი ლექსების და სცენების დამატებით, მშვენიერი ყდით, ფასი 1 მ.
2) „გამიჯნურებულ ქალ-ვაჟის მიწერ მოწერა“, ვინმე მესხისა, 5 კ.
3) „არსენას ლექსი“ სურათით 5 კ.
4) „ვეფხის-ტყაოსანი“, მეორედ გამოცემული ქ. ოზურგეთში, გასწორებული, მოკლე ბიოგრაფიით და სურათით, 40 კაპ.
5) „რამდენიმე მოთხრობა“, ნინოშვილისა, 50 კ.
6) „სიმონა“ მისივე 30 კაპ.
37) „ზანგის სამკვიდრო“, თარგმანი დათიკო ვერმიცანაშვილისა, 10 კ.

და სხვა-და-სხვა წიგნები.

ქართველთა ამხანაგობის
გამოცემა
თხზულებანი
აკაკი
წერეთლისა
ტომი I ლექსები
გადაეცა ამხანაგობის მაღაზიას
გასასყიდად
ფასი 1 მან.
(5—5)

საურთიერთო დაზღვევის საზოგადოება ქირნახულისა სეტყვისაგან

საზოგადოების მმართველობა პატივისცემით აუწყებს **ვენახებისა, ხეხილიანის ბაღებისა, თამბაქოსა, სვიისა,** და **ბამბის** ნათესობის პატრონთ, რომ საზოგადოებასთან არსდება **ცალკე განყოფილება** ყოველ ზემოხსენებულის **სეტყვისაგან დაზღვევისათვის.** ვისაც სურს ჩაეწეროს საზოგადოების წევრად, რათა აღნიშნულ ქონების, დაზღვევის ნება ჰქონდეს სეტყვისაგან უნდა მიჰმართოს საზოგადოების სააგენტოს, რომელიც იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა დილის 9-დამ ნაშუადღევის 2 საათამდე.

(50—19) წარმომადგენელი კავკასიისათვის დ. ქ. თუთაევი

მეფარხემეზი (?)

საავაჭრო სახლი
ბენდერ-სტეფანოვი
ტფილისის განყოფილება სოლოლაკ. ქ. სახ. აღაბაბოვისა.
ისყიდება ყოველ-გვარი ახალ-მოდის ნაწარმოები სარფინკისა, საკუთარ ქარხანაში დამზადებული:

სხვა-და-სხვა ნაირი არშიანი და ახალ მოდის სარფინკები.
ჩესუჩა ტანთსაცმელისათვის.
სარფინკის ტანისამოსი ყუთებით საჩუქრად.
ცხვირსახოცები და თავმოსახვევები.
ნაქსოვი საშემოდგომო იუბკები არშიით.
სარფინკის ფერადი ძაფები ნაძახი ჩულქების საქსოვად.

მზა-მზარეული სარფინკის ტანისამოსი.
პერანგები კაცისა:
„ფანტაზია“ და გახამებული პერანგები.
საცვლები მანდილოსნებისათვის:
პერანგები, კოფთები და კალსონები.
ჩულქები და წინდები სარფინკის ძაფისა.

ქარხნის ფასად, იაფად. (35—21)

საკომერციო ცეცხლისაგან დაზღვევის საზოგადოება

დაზღვევა ცეცხლისაგან მოძრავისა და უძრავის ქონებისა.
საააგენტო იმყოფება ველიამინოვის ქუჩაზედ, ყიფიანისეულ სანოტარიუსო კანტორის ზემოდ. ღიაა 9—2 საათა-მდე.
(50—15) აგენტი დ. ქ. თუთაევი

КАВКА
ВЫС
СЕЛЬСК.
ПРОМЫШ
188
В.М. АЛЕКСАНДРЪ III ИМПЕРАТ. И САМОД. ВСЕРОСС.

ტფილ. გამოფენა.

Б.М. АЛЕКСАНДРЪ II ИМП. И САМОД. ВСЕРОСС.
ЗА УСЕРДІЕ

ვერცხლისა

Б.М. АЛЕКСАНДРЪ III ИМП. И САМОД. ВСЕРОСС.
ЗА УСЕРДІЕ

ოქროსი

ალალო თუთაევის
ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ
ტფილისში:

ვიღებ სახლების აშენებას, აგრეძვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრეძვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20%-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონელის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—7) ალ. თუთაევი

Доз. ценз. Тифлисъ, 12-го Апрѣля 1893 г.
სტამბა მ. შარაძისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.